

საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულის
კვალიფიკაციის პრობლემები
(მუხლები - 179-ე, 180-ე, 182-ე, 185-ე)

ილონა ყალიჩავა

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

სისხლის სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: იოსებ ვარძელაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი, როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებული, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ილონა ყალიჩავა

19 ივნისი 2020

აბსტრაქტი

საკუთრების უფლება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებათა რიცხვს მიეკუთვნება, რომლის გარეშეც შეუძლებელია დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობა. წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება საკუთრების წინააღმდეგ მიმართული ზოგიერთი დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემებს, მეცნიერთა შეხედულებებისა და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე განხილულია მოცემული კატეგორიის დანაშაულთა კვალიფიკაციასთან დაკავშირებული პრობლემები.

კვლევის მიზანია გამოიკვეთოს ხარვეზები, რომელიც მოცემული მუხლების არასწორ კვალიფიკაციას იწვევს, რათა კონკრეტული მაგალითების საფუძველზე მოხდეს შეფასება ქმედებათა თავისებურებების, დანაშაულის ნიშნების, კვალიფიკაციისათვის აუცილებელი ელემენტების, რაც ხელს შეუწყობს სამართლიან, სწრაფ და ეფექტურ მართლმსაჯულებას.

საკითხის საფუძვლიანად შესწავლისათვის ნაშრომში გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი, ისტორიული, აღწერით-მიმოხილვითი კვლევის მეთოდები. განხილულია თეორიული მაგალითები და კონკრეტული სასამართლო გადაწყვეტილებები უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან, მათი შედარების საფუძველზე გამოტანილია დასკვნები. გამოთქმულია მოსაზრება, როგორ უნდა მოხდეს ქმედების სწორი კვალიფიკაცია და პირის სამართლიანი მსჯავრდება.

სხვადასხვა სამეცნიერო ლიტერატურისა და უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებების შესწავლის შედეგად გამოიკვეთა ყველაზე მთავარი პრობლემა - საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თვისობრივი მსგავსების გამო მომიჯნავე დანაშაულებთან ხდება ქმედებათა არასწორი კვალიფიკაცია, რაც ხელყოფს პირის უფლებას მსჯავრდებულ იქნეს ქმედებისათვის, რომელიც ნამდვილად ჩაიდინა მან. საბოლოოდ კვლევის შედეგად ნათელი გახდა, რომ ქმედების სწორი კვალიფიკაციისა და სწორი მსჯავრდებისათვის აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს დანაშაულის ყველა ნიშანი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეფასდეს საქმის ყველა გარემოება

საფუძვლიანად. რადგან მოსამართლის მიერ ყველა ფაქტობრივი გარემოების დადგენის შემდეგ შესაძლებელია სრულიად სხვა თავით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა გვექონდეს. გათვალისწინებულ უნდა იქნეს ქმედებათა გადაკვალიფიცირების თავისებურებები. მეცნიერთა მიერ საკითხის სიღრმისეული შესწავლა და სასამართლო გადაწყვეტილებათა ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას, რომ აღმოიფხვრას ეს ხარვეზები, რაც თავს იჩენს მოცემული კატეგორიის დანაშაულების საქმეთა განხილვისას. საქმის ყველა გარემოების დეტალური ანალიზი და საჭიროების შემთხვევაში სასამართლოს მიერ კვალიფიკაციის სწორად განსაზღვრა არის აუცილებელი პირის უფლებების დასაცავად და სამართლიანი მართლმსაჯულების განსახორციელებლად.

წინამდებარე ნაშრომში გაკეთებული დასკვნები, შეფასებები, რეკომენდაციები ემყარება საკვლევ საკითხთან დაკავშირებული წყაროების სიღრმისეულ ანალიზს. კვლევის შედეგად გამოტანილი დასკვნები დაეხმარება საკითხით დაინტერესებულ სისხლის სამართლის სტუდენტებსა და პრაქტიკოს იურისტებს.

საძიებო სიტყვები: საკუთრების წინააღმდეგ მიმართული დანაშაული, ყაჩაღობა, თაღლითობა, მითვისება ან გაფლანგვა, ქონებრივი დაზიანება მოტყუებით, კვალიფიკაციის პრობლემები.

Abstract

The right to property belongs to several fundamental human rights, without which the existence of a democratic state is impossible. The present paper is devoted to the qualification problems of some crimes against property. Based on the analysis of the views of scholars and the decisions of the Supreme Court, the problems related to the qualification of these categories of crimes are discussed.

The aim of the study is to identify the deficiencies that lead to an incorrect qualification of the given articles, in order to assess the peculiarities of the actions, the signs of the crime, and the elements necessary for qualification based on specific examples, which will in turn contribute to fair, prompt and effective justice.

The paper uses comparative-legal, historical, descriptive-review research methods to thoroughly study the issue. Theoretical examples and specific court decisions from the practice of the Supreme Court are discussed, and conclusions are drawn from their comparisons. Opinions are expressed on how to properly qualify the action and a fair trial of the person.

A study of various scientific literature and Supreme Court rulings has revealed the most important problem - the qualitative similarity of property crimes with neighboring crimes is the mis qualification of actions that violate a person's right to be convicted for an act he or she has committed. Eventually, as a result of the investigation, it became clear that for the proper qualification of the action and the correct convictions, it is necessary to take into account all the signs of the crime in each case, to assess all the circumstances of the case thoroughly. Because after the judge has established all the factual circumstances, it is possible to have a completely different crime. Peculiarities of action retraining should be considered. In-depth study of the issue by scientists and analysis of court decisions gives us the opportunity to eliminate these shortcomings, which manifests itself in the consideration of criminal cases in this category. Detailed analysis of all the circumstances of the case and, if necessary, the correct determination of the qualification by the court is necessary to protect the rights of the person and to administer fair justice.

The conclusions, assessments and recommendations made in the present paper are based on an in-depth analysis of the sources related to the research issue. The findings will help criminal law students and practicing lawyers.

Key words: Crimes against property, Robbery, Fraud, Misappropriation on embezzlement, Property damage by fraud.